

ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12

2017 წლის 14 ივლისი

ქ. თბილისი

ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

განისაზღვროს ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები და დამტკიცდეს საშტატო ნუსხა №1 დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 ივნისის №10 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 28/06/2017; 010320010.35.147.016163) „ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ერედვის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ემზარ ბერუაშვილი

დანართი №1

ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხა

№	რანგი	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო	საშტატო ნუსხა
1		საკრებულოს თავმჯდომარე – პოლიტიკური თანამდებობის პირი	2950	1
2		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე – პოლიტიკური თანამდებობის პირი	1900	1
3		საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე – პოლიტიკური თანამდებობის პირი	1650	3
4		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე – პოლიტიკური თანამდებობის პირი	1650	1
5	პირველი რანგი – მაღალი მმართველობითი დონე	საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი	1300	1



6	მეორე რანგი – საშუალო მმართველობითი დონე	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი – აპარატის განყოფილების უფროსი	1100		1
6	მესამე რანგი – უფროსი სპეციალისტის დონე	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	800		2
7	მესამე რანგი – უფროსი სპეციალისტის დონე	საჯარო დაწესებულების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	800	3	

(გავრცელდეს 2018 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 18.01.2018წ.

